საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

03/09/2025

MES 4 25 0001065064

გადაწყვეტილება

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც

„ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27[5] - ე მუხლის მე-7[1] პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 22 მაისის №564723 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულებების "განათლების მეცნიერებების“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) აკრედიტაციის საბჭომ 1.2 კომპონენტში ამოიღო რეკომენდაცია:

„რეკომენდებულია მეორე სასწავლო შედეგის გადახედვა, რათა ის შეესაბამებოდეს მოქმედი სასწავლო გეგმის ზოგად პედაგოგიურ ფოკუსს.“ აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა არ გამოიწვია სტანდარტის შეფასების ცვლილება.

ბ) საბჭომ შეცვალა რეკომენდაცია 1.3 კომპონენტში და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

„რეკომენდებულია, სასწავლო გეგმის რუკაში მკაფიოდ ჩანდეს სწავლების პროგრესია“

გ) საბჭომ შეცვალა რეკომენდაცია 1.4 კომპონენტში და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

„რეკომენდებულია პედაგოგიკის თეორია 1, 2 კურსის მიზნების და სწავლის შედეგების გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი ან ერთ სასწავლო კურსად (სილაბუსის შესაბამისად) წარმოდგენა ან გაყოფა ორ სასწავლო კურსად (სასწავლო გეგმის შესაბამისად).“

დ) საბჭომ 1.4 კომპონენტში რეკომენდაცია გადაიტანა რჩევად:

„სასურველია, პროგრამამ ნათლად განსაზღვროს და დოკუმენტურად აღრიცხოს, თუ რომელი კონკრეტული კურსები, კომპონენტები ან აქტივობები წარმოადგენს პროგრამის აღწერილობაში ნახსენებ „ინგლისური კომპონენტების“ ნაწილს.“

ე) აკრედიტაციის საბჭომ 1.4 კომპონენტში ამოიღო რეკომენდაცია:

„რეკომენდებულია, პროგრამამ შეიმუშაოს და გამოაქვეყნოს ყოვლისმომცველი კვლევითი პროფილები ოთხი მონაწილე უნივერსიტეტის ყველა პოტენციური ხელმძღვანელისთვის, მათ შორის მათი ექსპერტიზის სფეროები, მიმდინარე კვლევითი პროექტები, პუბლიკაციების ნუსხა და მეთოდოლოგიური მიდგომები, რათა დოქტორანტებმა შეძლონ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება დისერტაციის თემასა და ხელმძღვანელის შერჩევის დროს.“ აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა არ გამოიწვია სტანდარტის ცვლილება.

ვ) საბჭომ 1.5 კომპონენტში რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში:

„სასურველია კვლევის მეთოდოლოგიის კურსებში სასწავლო მასალების განახლება“ აღნიშნულმა არ გამოიწვია სტანდარტის ცვლილება.

ზ) საბჭომ 1.5 კომპონენტში რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში:
„სასურველია, დოქტორანტის სემინარისთვის სტრუქტურირებული სასწავლო გეგმის ჩარჩოს შექმნა მკაფიოდ განსაზღვრული მასალებითა და სწავლის პროგრესიით, რაც არ შე მოიფარგლება მხოლოდ „ნებისმიერ თემასთან დაკავშირებულ წიგნებზე, სტატიებსა და კონფერენციის მასალებზე.“ აღნიშნულმა არ გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება.
თ) საბჭომ 2.1 კომპონენტში რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში:
„სასურველია, პროგრამაზე მიღების შეფასების ყველა კომპონენტისთვის, განსაკუთრებით კვლევის შემუშავების ხედვის წერილობითი ნაწილისა და კვლევაზე ორიენტირებული ინტერვიუსთვის, ყოვლისმომცველი შეფასების რუბრიკების შემუშავება და გამოქვეყნება, რათა მომავალ დოქტორანტებს მიეწოდოთ შეფასების მკაფიო კრიტერიუმები და მათი შესრულების მოლოდინები“.
აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ი) აკრედიტაციის საბჭომ 2.1 კომპონენტში ამოიღო რეკომენდაცია:
„რეკომენდებულია, რომ დაწესდეს ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის მოთხოვნა ყველა დოქტორანტისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ინგლისურენოვანი კომპონენტების სათანადო გაგება და შენარჩუნდეს თანმიმდევრულობა კურსის სპეციფიკურ ენობრივ მოთხოვნებთან“.
კ) საბჭომ 2.1 კომპონენტში რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში:
„სასურველია, ოთხივე მონაწილე უნივერსიტეტის ყველა პოტენციური ხელმძღვანელისთვის ყოვლისმომცველი კვლევითი პროფილების შემუშავება და გამოქვეყნება, მათ შორის მათი ექსპერტიზის სფეროების, მიმდინარე კვლევითი პროექტების, პუბლიკაციების ჩანაწერებისა და მეთოდოლოგიური მიდგომების, რათა აპლიკანტებმა შეძლონ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება დისერტაციის თემასა და ხელმძღვანელის შერჩევისას“.
აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა გამოიწვია სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით

გათვალისწინებულ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების“ ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 18 აგვისტომდე.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "განათლების მეცნიერებების“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 3 სექტემბრის სხდომის №1065040 ოქმის № 05 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სასწავლო გეგმის რუკაში მკაფიოდ ჩანდეს სწავლების პროგრესია;
- რეკომენდებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის კურსების პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების გადახედვა, რათა აისახოს თითოეული მეთოდოლოგიური მიდგომისთვის დამახასიათებელი განსხვავებული კომპეტენციები, უნარები და ცოდნა;
- რეკომენდებულია პედაგოგიკის თეორია 1, 2 კურსის მიზნების და სწავლის შედეგების გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი ან ერთ სასწავლო კურსად (სილაბუსის შესაბამისად) წარმოდგენა ან გაყოფა ორ სასწავლო კურსად (სასწავლო გეგმის შესაბამისად);
- რეკომენდებულია კვლევისა და პროექტების მართვის პრაქტიკული კურსისთვის, რომელსაც ამჟამად ფორმალური შინაარსობრივი სტრუქტურა არ გააჩნია, ყოველკვირეული დეტალური, შინაარსობრივი გეგმების შემუშავება;
- რეკომენდებულია, რომ თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების კურსები გადაიხედოს და ხელახლა დაიგეგმოს, რათა მოიცავდეს კურსისთვის სპეციფიკურ მიზნებს, დიფერენცირებულ სწავლის შედეგებს, რომლებიც შეესაბამება თითოეული კვლევითი მიდგომის განსხვავებულ ბუნებას და შესაბამის, მეთოდურ შეფასების ინსტრუმენტებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტის მიღწევების ზუსტი შეფასება;
- რეკომენდებულია, რომ იმ თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის კურსებისთვის, რომლებიც ითვალისწინებს სავალდებულო დასწრების პოლიტიკას და სადაც კონკრეტულად დასწრებაზე 5 ქულაა გამოყოფილი - შეიცვალოს სილაბუსებში, რომლებიც მსგავს პრაქტიკას შეიცავს;
- რეკომენდებულია ყველა კურსში შეფასების რუბრიკების გადახედვა უფრო ვიწრო, ზუსტი შეფასების დიაპაზონების დასადგენად, შესრულების მკაფიო აღმწერებით, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულ შეფასებას და სტუდენტთა მიღწევის დონეებს შორის მნიშვნელოვან დიფერენციაცია.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 18 აგვისტოდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 18 აგვისტომდე.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში

წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
წევრი
ელიზბარაშვილი ელიზბარ

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
მზამავლსამეღლა
ელექტრონული